

შინაური საქმეები

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

№ 26.

თბილისი, ნოემბერი 16, 1908 წ.

ფასი წლიურად — 4 მან.
ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერით ღირს 8 კაპეცკით,
აღრმისი: ქუთაისის „შინაური საქმეების“
რედაქცია.

შინაური: თანასწორობა ყველა კაცთა—ნაცარხანელისა; პირველი ფურცელი ბიბლიისა (პროფესორ ბეტგისისა)—ონოტოგ მწირისა; ყმაწვილებს (ლეჟსი)—ივერიელისა; მოსეს თქმულება ადამისა და ფას შვეცოდებაზე ნამდვილი ისტორიაა, თუ ალლეგორია და მითი? (გაგრძელება)—ტონკელისა; შეუძლებლობა სოციალიზმისა—ნაცარხანელისა; ნაშადაიანობის გაფრთხილება ოსებში—ქართველი ოსებში; აკაკის (ლეჟსი)—ქართველი ოსებში; რა დროში ვართ—ტონკელისა;

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ქურნალის წლიური ფასი.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საებარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერით ღირს 8 კაპ. აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ლეზულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

1318

თანასწორობა ყველა კაცთა.

(კატრუინიდან)

საზოგადო საფუძველი სოციალიზმისა არის თანასწორობა ყველასი. სოციალისტური მოთხოვნა ყველა კაცთა თანასწორობისა წარმოგვიდგება ზენ ორი ფორმით: უკიდურესით და ზომიერით.

I. ახალი სოციალიზმის აკვანთანვე ეხედვებით ყველა კაცთა თანასწორობის იდეას, რომელიც შემოიტანა რუსომ. ამ იდეით, საფრანგეთის რევოლუციის დროს, ბაბეფმა დააფუძნა კომუნისტური კავშირი „თანასწორთა.“ ამ დროიდან მოთხოვნა თანასწორობისა ყოველ-

თვის იყო პირველი და ძირითადი მოთხოვნა სოციალიზმისა და სახელდობრ სრული და სავსებით თანასწორობის სახით, რომელიც არა სცნობდა არა გვარს განსხვავებას უფლება-ვალდებულებათა. ამ აზრით ესმოდათ თანასწორობა არა მარტო საფრანგეთის, არამედ უმეტეს ნაწილს გერმანელთა სოციალისტებისასაც.

1) ჯერ ისევ აიხუნანის პროგრამა მუშების ემანსიპაციისთვის ბრძოლას უწოდებს „ბრძოლად თანასწორ უფლება-ვალდებულებათათვის, ბრძოლად ყოველივე კლასურ ბატონობის გასაუქმებლად.“ ვოტური პროგრამა მოითხოვდა „ყოველგვარ სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობის მოსპობას.“ ერთფურტის კონგრესზე წარდგენილი „გაუმჯობესებელი“ პროექტები პროგრამისა შეადგენენ იმავე მოთხოვნებს, და საბოლოოდ მიღებულ და შემუშავებულ პროგრამაში ნათქვამია, რომ „სოციალდემოკრატიული პარტია იბრძვის ყოველი კლასური პრივილეგიის და თვით კლასების გასაუქმებლად და ყველას თანასწორ უფლება-ვალდებულებათათვის განუჩევლად სქესისა და შთამომავლობისა.“

ბებელს, შტერნს, კაუტსკის და სხვ. სურთ „აღსკნობის“ და სხვა ბათა თანასწორობა ყველასათვის.



ტის *) სიტყვით, მომავალ საზოგადოებაში „ბატონობს სრული თანასწორობა—ერთად ერთი საზღვარი თავისუფლებისა“.

ცხადია, რომ აქ იგულისხმება არა მარტო პოლიტიკური თანასწორობა, ანუ თანასწორობა კანონის წინაშე. ამ გვარი თანასწორობა უკვე არსებობს ზოგიერთს კულტურულს ქვეყნებში, გაიხსენეთ მაგ. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები. სოციალისტური მოთხოვნა თანასწორობისა არის უმეტესი რამ—ნამდვილი თანასწორობა ყველასი და ყველაფერში. ამაზე ყოველივე ეპეის გასაქარწყლებლად, ერთუბრტის პროგრამაში მოხსენებულია თანასწორობა განურჩევლად სქესისა და შთამომავლობისა **).

უკვე წარმოითქვა აზრი, რომ სოციალიზმი უნდა იყოს არა პარტია თანასწორობისა, არამედ პარტია სამართლიანობისა, არა პარტია ყალბი დემოკრატიისა, არამედ პარტია ზნეობრივი და ინტელექტუური არისტოკრატიისა. ამით, როგორც ჩვენ ვმონებთ უარყოფილია შინაგანი არსება სოციალიზმისა, როგორც მუშათა, მეოთხე წოდების, პროლეტარიატთა პარტიისა. რასაკვირველია, სოციალისტებს სამართლიანობის პარტიად მოაქვთ თავი მაგრამ, საბუთი აქვთ მათ, რომ ყველას თანასწორობა წამოაყენონ სამართლიან მოთხოვნად, ხოლო აწინდელი წესწყობილება ჩათვალონ უსამართლოდ? ამ საკითხზე ამათ შეუძლიანთ უპასუხონ მხოლოდ ყველა კაცთა თანასწო-

*) ერთერთს საპროგრამო სიტყვაში ლიბკნეხტი პატეტურად ამბობს: წარმოების იარაღი საზოგადოების ხელში გადავიდა... კლასები გაუქმდნენ, დარჩა მხოლოდ საზოგადოება თანასწორ პირთა, — ქეშმარიტად კაცური საზოგადოება, კაცობრიობა და კაცობა ერთის ბატონობა მეორეზე, ყოველგვარი ექსპლოატაცია უნდა გაუქმდეს, ხალხი უნდა იყოს თანასწორი და თავისუფალი, არა ბატონები და მოსამსახურეები, არამედ მარტო ძმები და დები (პროტოკოლი სეიმისა ერთერთში, 340.) შიკაგოსადმი ამოც, სოც დემ. კრებაზე ბერლინში 12 ივნისს 1892 წ. ის ამბობდა: „ჩვენ გვსურს გაუაუქმოთ ბატონობა ერთისა მეორეზე ყოველივე სახით და დავამყაროთ თანასწორობა ყველაფერში არა მარტო კაცთა, არამედ დედაკაცთა შორისაც, სოციალდემოკრატი ამას თავისთავად მიხედვება.“

**) კაუტსკი, ვგონებ, ფიქრობს, რომ პრინციპი თანასწორობისა ნიშნავს შემოსავლის თანასწორობასაც, — და აწკარად აცხადებს კიდევ: თუ თანასწორობის პრინციპში უნდა მიგვაყვანოს იმ მოთხოვნებთან, რომ აღდგას ვკიყენებენ სოციალიზმის მოწინააღმდეგეები, მა-

რობაზე მითითებით. აწინდელი არისტოკრატიის შეცვლა მომავლის გაურკვეველ ბუნების არისტოკრატიით ვერაფერს უშველის მუშათა დიდ მასას. სოციალ-დემოკრატიამ წინამძღოლნი არ ისურვებენ უარის თქმის სრული თანასწორობის მოთხოვნაზე, რომელიც რაოდენიმე ხნიდან ასე მომხიბლავი გახდა დაჩაგრულთათვის.

დასასრულ, თანასწორობის მოთხოვნა აუცილებლად დაკავშირებულია სოციალიზმის ძირითად მისწრაფებასთან. წარმოების იარაღი საზოგადოების საკუთრებად უნდა გახდეს; მაგრამ ყველა წევრები ერთნაირად ეკუთვნიან საზოგადოებას და ამიტომ მათ ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდეთ ამ საკითხზე. რომ შემოდებული იქმნას საზოგადო საკუთრება, ხოლო მისი მოხმარება ყველას ერთნაირად არა ჰქონდეს, ეს წინააღმდეგობაა; ეს არის მონად მაცემა მეორესთვის. მაშინ მათ შეუძლიანთ წაართვან სხვას პურის გადორი და ჩამოკიდონ, რა სიმალღებზეც ნებაეთ. ხელახლად გამეფდებოდა უარესი უთანასწორობა.

მაშ განვიხილოთ ეს მოსაზრება ***)

1) დებულებაში ყველანი თანასწორნი არიან-

ნო, ქეშმარიტია ის, რომ ყველას მათ აქვთ ერთი და იგივე არსება ისინი ამიტომ ერთნაირები არიან იმ დრომდე, ვიდრე მათს ბუნებას განვიხიბილავთ მიუხედავად იმ კონკრეტული პირობათა და მდგომარეობათა, რომლებთანაც იგი ნამდვილად, აუცილებლად დაკავშირებულია.

შინ ის (პრინციპი თანასწორობისა) უნდა უკუბრუნდებოდეს იქმნას“. აი აქაც ვხედავთ სოც დემ. ქებულს „მეცნიერობას“. თითონაც ჯერ არ იციან, იქნება იმ პრინციპების უკუგდება მოუზღვეთ, რომლებითაც ეხლა სტენიან პროლეტარიატს.

***) პრაქტიკაზე ს. დემ. ბევრად არ იწუხებენ თავს ამ თანასწორობით. ამას მშვენიერად ასურათებს ბებელის განცხადება რეისსტაგში 10 დემ. 1904 წ. მაზედ, რომ სოც. დემოკრატების დეპუტატები, თანამადთვის სოციალური მდგომარეობისა უკუბრუნდნენ პარტიის კასიდან ერთიდან თორმეტ მარკანდე ყოველ დღე ასანახდაურებლად იმ ქონებრივი გასაყლისა და ზარალითა, რომელიც მათ მოსდით დეპუტატის ვალდებულების აღსრულებით.

ყველას ჰყავს ერთი და იგივე შემოქმედი, აქვს ერთი და იგივე მიზანი და დასასრული, ერთი და იგივე ბუნება. ზნეობრივი კანონი, ყველანი წვეწვნი არიან ერთი და იგივე ოჯახისა, რომელის მამაც ღმერთია. აქედან გამომდის, რომ ის უფლება-ვალდებულებანი, რომლებიც შეადგენენ კაცის ბუნების აუცილებელს კუთვნილებას, ერთნაირები აქვს ყველას; ყველას, ყველგან და ყოველთვის უფლება აქვს იმაზედ, რომ მას მოეპყრონ, როგორც კაცს. ყველას აქვს, აგრეთვე, უფლება არსებობის ყველა უქვეყნოდ საჭირო პირობებზე, მაგრამ რომ ყველას ჰქონდეს უფლება არსებობისა ერთნაირ პირობებზე, ეს არ გამომდინარეობს ყველას თანასწორობის იდეიდან.

2) შეუღლებიან თუ არა კაცთა განხილვას იმ სახით, როგორც არიან ისინი ნამდვილად, მაშინვე თვალსაჩინო ხდება დიდი განსხვავება კაცთა შორის, განსხვავება, რომლისგანაც აუცილებლად გამომდინარეობს მათ უფლება-ვალდებულებათა განსხვავებაც. ერთნი იმყოფებიან უმწეო ბავშვების ჰასაკში, ან მოუზღვეველ სიყრმეში, მეორენი დაფუძვნილებულნი და ძალღონით სავსენი არიან, მესამეთ მიუღწევიათ სამარის კარამდე. მართა ამ განსხვავებებიდან ცხადია არა ერთგვარი უფლება-ვალდებულებანი ერთთაც და მეორეთაც. განა შეიძლება ბავშვებს და მოხუცებს ქონდეთ ერთნაირი უფლება-ვალდებულებანი, რაც მოწიფულ ვაჟაკებს; ავითპოუფებს იგივე, რაც სალებს; მამაკაცებს იგივე, რაც დედაკაცებს? ჩვენ ვიცით, რომ ბევრი სოციალისტები ამას ითხოვენ, ისინი თავის დროშაზე აღნიშვნენ მამაკაცთა და დედაკაცთა თანასწორობას. „საქორწინე კავშირი არის კერძო ხელშეკრულება შუა კაცის დაუხმარებლად“... ქალს აქვს უფლება აჩუქოს თავისი სიყვარული, ვისაც ნებავეს და როდემდისაც ნებავეს. თუ მას აღარ მოსწონს უწინდელი დამოკიდებულება, შეუძლიან იგი შეწყვიტოს და სხვა ვინმე გააზიდნეიროს. ქორწინებაშიც და ქორწინების გარეშეც ქალი სრულიად თანასწორი უნდა იყოს მამაკაცისა.

ჩვენ შევეკითხებოდით ბებელს: ქმრებმა

უნდა არწონ აკვნებში ბავშვები, ამზადონ საქმელი, დაქსოვონ წინდები, აღსარულონ სხვა და სხვა საოჯახო საქმეები; ხოლო ქალებმა კი, მამაკაცთა მაგიერ, უნდა თხარონ პალაროები, გასწიონ შეურნეობა, შეზღვეურობა, ან მხარზე გულანაბდით წავიდნენ სამრად თუ არა? ჩვენ ამ გვარი თანასწორობის გასახორციელებლად მოკვიხდებოდა დაბრუნება ბოიფულ ბარბაროსიბის დროთა მაგრამ ეს ცდა მაინც ჩიშლებოდა, რადგანაც ქალის და მამაკაცის ბუნება არ არის ერთნაირი. ტყუილად ხომ არ მიუცია ბუნებას ქალისთვის სხვა ნაირი ორგანოზაცია სხეულისა, ვიდრე მამაკაცისთვის და სხვა ტალანტები, მიდრეკილებანი, ხასიათი. განა ეს სულიერი და ფიზიკური განსხვავება არა ცხად ჰყოფს, რომ ბუნების შემოქმედმა მიუჩინა ქალს და მამაკაცს არა ერთნაირი ვალდებულებანი საზოგადოებაში?

მართალია, ბებელი ფიქრობს, რომ დედაკაცთა და მამაკაცთა ნიჭის და მიდრეკილების განსხვავება შედეგია აღზრდისა და უმეტესად მონობისა, რომელშიც ჰყავდა და ჰყავს მამაკაცს ქალი და რომ ქალის აღზრდის და საზოგადოებრივი მდგომარეობის შეცვლით, ეს განსხვავება მოიშობა, მაგრამ ეს სრულიად უსაფუძვლოა. ამ გვარი აზრი ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ დედაკაცსა და მამაკაცს შორის განსხვავება ჩვენ გვხვდება ყველგან და ყველა ხალხში. განსხვავება დედაკაცსა და მამაკაცსა შორის გამომდინარეობს მათი სხეულის ორგანიზაციის თავისებურებიდან და მასთან განუყრელად შეკავშირებულ დედობის ვალდებულებასა და ზრუნვასთან.

მაგრამ მაინც და მაინც თუ უყურადღებოდ დატოვებთ სქესთა და ჰასაკთა განსხვავებას და ერთნაირს მდგომარეობაში წარმოვიდგინთ დედაკაცსა და მამაკაცს, მაშინაც არსებობის პირობათა ერთნაირობა ბუნების საწინააღმდეგო რამე იქნებოდა. გაიხსენონ მხოლოდ ის, რავდენად განირჩევიან კაცნი ერთმანეთისგან მიდრეკილებით, ნიჭით, ჯანის სისალით, ძალღონით, მოთხოვნილებით, აღარას ვამბობთ საკუთრად სულიერს განსხვავებაზე ტკუთ, შრომის შემძლებლობით, ზომიერებით, ყაირათა-

ნობით და სხ... თანახმად ამ განსხვავებათა, ბუნებრივად წარმოსდგება ხათში განსხვავება ავტორიტეტის და გავლენის მხრივ, რომელიც აქვთ მათ მოყვსებზე, ქონებრივ და საზოგადოებრივი მხრივ და სხვ... განსხვავება იმოდენად აუცილებელი, რომლის წინააღმდეგობა მხოლოდ ძალით თუ შეიძლება.

რომ უფრო ცხადად ვაჩვენოთ შექცელობა არსებობის პირობათა თანასწორობისა, წარმოვიდგინოთ, მაგ. ოთხი ძმა, რომლებიც ყველაფერში სულ ერთმანეთის მსგავსნი არიან. აი სამმა მათგანმა ცოლები შეირთეს, მეოთხე კი უცოლოდ დარჩა. ესლა ამ მეოთხის უფლება-ვალდებულება უფრო სხვაა, ვიდრე პირველი სამი ძმისა. ვთქვათ, კვალად, რომ ერთი ამ ცოლიანთაგანი უშვილოდ დარჩა, მეორეს ეყოლა სამი შვილი, მეოთხეს რვა; გაჩნდა ესლა ახალი განსხვავება უფლება-ვალდებულებათა. თუ მივიღებთ, რომ ოთხივე ძმა პირველად ერთსა და იმავე მდგომარეობაში იყო ჩაყენებული: ჰქონდათ ერთნაირი შეძლება, საზოგადოებრივი მდგომარეობა, ბინა და სხვა, ესლა რვა-ათი წლის შემდეგ თვიოღული მათგანის ცხოვრებაც პირობები გასხვავებულნი; პირველმა უნდა იზრუნოს მარტო თავის თავზე, მეორემ თავის თავზე და ცოლზე, მესამემ ხუთ, ხოლო მეოთხემ რვა სულზე. თუ ამას დავუმატებთ გარჩევას ნიქში, მუშაობის შემძლელობაში და სხ... ცხადი იქნება, რომ ნახევარ თაობის შემდეგ ოთხ ძმათა არსებობის პირობანი ძალიან შეიცვლებიან. თუ ამას მივუმატებთ ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, მაშინ ყველასთვის ცხადი იქნება, რომ პირველსავე თაობაში ოთხ ძმათა შორის სულ აღარ იქნება თანასწორობა. რადანაირი უთანასწორობა იჩენს თავს შემდეგ თაობებში, რომლებიც არსებობაც დაიწყება არა ერთგვარ პირობებში?

სოციალისტებს შეუძლიათ გვითხრან, რომ ზემოყვანილი მაგალითით ჩვენ სახეში გვქონდა აწინდელი საზოგადოებრივი წყობილება, სოციალისტურს საზოგადოებაში კი ცხოვრების პირობები სულ სხვანაირი იქნება, მზრუნველობა შეიღებზე, ავადმყოფებზე, მოხუცებზე სულ საზოგადოების ვალია, ქალი მამაკაცი-

სავით მონაწილეობას ლეზულობს მუშაობაში და ყველა სცხოვრობს მიხედვით იმაზე, რასაც იშოვის თავისი შრომით. ეს სამართლიანია. მაგრამ ჩვენ სწორედ იმას ვაპტიკებთ, რომ უთანათწორობა არის ბუნებრივად აუცილებელი მოვლენა კიკობრიობის თავისუფალს განვითარებაში და რომ სოციალიზმს შეუძლიან ხელი შეუშალოს უთანასწორობის აღმოცენებას მხოლოდ გარეგნული იძულებითი ძალდატანებით. მებაღესაც შეუძლიან ბაღში ყველა ხეები ერთ ზომისანი გახადოს, შეაყენოს ზოგიერთთა ზრდა ტოტების შეკვეცივით, მაგრამ ამგვარი ბუნების წინააღმდეგი მდგომარეობა არ იქნება მტკიცე.

3) აქამდის ჩვენ სახეში გვქონდა არსებობის ოჯახური პირობანი, ოჯახურ დამოკიდებულებათაგან ჩნდება სხვა და სხვა საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი და წესები სხვა და სხვა მოთხოვნილებათა გამო. მხოლოდ უმეტესად შრომის განაწილების მეოხებით ხალხს შეუძლია დააკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება და კუფტურულად გაუმჯობესდეს. შრომის განაწილებას აუცილებლად თან მოსდევს გაყოფა საზოგადოებისა სხვა და სხვა კლასებად და პროფესიებად, რომლებსაც სარჩულად უდევთ სხვა და სხვაობა მიდრეკილებისა და ნიქისა, რომლის მიხედვითაც ყოველი კაცი ირჩევს ამ ანუ იმ პროფესიას.

რა ნაირათაც ნებავთ, წარმოვიდგინოთ განვითარება საზოგადოებისა, მაგრამ საზოგადოებაში ყოველთვის იქიებიან ისეთები, რომლებსაც არა ვსწავლიათ და მასწავლებლები; როგორ გნებავთ, მასწავლებლებს და მოსწავლეებს ერთი და იგივე უფლება ვალდებულებანი უნდა ჰქონდეთ? საზოგადოებაში ყოველთვის იქნებიან აღსაზრდელები და აღმზრდელები; მაშ ამათშიც უფლება-ვალდებულობის თანასწორობა იქნება? ყოველთვის იქნებიან ავადმყოფები და მოხუცები, იქნებიან ექიმები, დოქტორები, ავადმყოფთა მომვლელნი; ამათაც ერთნაირი უფლება ვალდებულებანი ექნებათ? ყოველთვის იქნება მიწის მუშაობა, ვაჭრობა, მრეწველობა, მეცნიერება, ხელოვნება. ის პირები, რომლებსაც შრომის ამ დავებისთვის შეუწირავთ

თავი არსებობის ერთნაირი პირობებით უნდა სარგებლობდნენ? ერთნაირი საშუალებით და ერთნაირი სასყიდლით უნდა იყვნენ მიწვეულნი ამ მოწოდებათა აღსარულებლად?

ზომიერი სოციალისტები, მართალია, თანახმანი არიან მომავალს სახელმწიფოში დასტოვონ სხვა და სხვა პირობები, სხვა და სხვა სასყიდლით. პირიქით, უკიდურეს სოციალისტებს, რომლებს ბებელიც ეკუთნის, სურთ სრულიად მოსპონ პროფესიების გარჩევა. შესაბამისი აღზრდის და განათლების მეოხებით, შესაძლოა ყველას გახდა ყოველის გამკეთებლად, ისე რომ ყველას შეეძლება, რიგ რიგობით, თავის დროს აღსრულება ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფუნქციისა. მარქსიც ლაბარაკობს მუშის ყველაფერში გამოყენების შესახებ განათლების უმაღლესს საფეხურზე. ამის მიღება ეწინააღმდეგება საღს აზროვნებას, იგი დამყარებულია მუშის ნიჭის გადამეტებულ დაფასებაზე, რასაც ჩვენ ავხსნით შემდეგში; მაგრამ ასეთი დასკვნა სრულიად წესიერად გამომდინარეობს სოციალისტურ დებულებათაგან. ვისაც სურს აწინდელი საზოგადოებრივი წესწყობილების გარდაქმნა საყოველთაო თანასწორობის საფუძველზე და შექმნა ყველასთვის არსების ერთნაირი პირობათა, მას არ შეუძლიან დათანხმდეს, რომ საზოგადოება იყოფებოდეს იმ გვარ პროფესიებად, რომლებიც ერთნაირები არ არიან თავისი ღირებულებით, სიძნელით, მათ აღსრულებასთან შეკავშირებული ხიფათით, როგორც, მაგ., ეს არის სწავლულის, მხატვრის, მადნის მკრელოს, მეჯინის, მემანქანის, ან ფაბრიკაში ხაბაყის მზიდველის პროფესია.

ნაკარუანელი.

პირველი უპირველი გიგლიძისა.

(პროფ. ბეტეესისა).

(გაგრძელება*).

და რქვა ღმერთმან: იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი.

რაზომ დიდებულია და საუცხოვო ნათელი! რა იქნებოდა ქვეყანა უნათლოდ? წარმოუდგენელია, გაუგებარია და უსიამოვნო.

რა არის ნათელი? უნდა აღვიაროთ, რომ ეს ჩვენ სინამდფლით არ ვიცით და ქვეყნად ვხსნით უფრო ნაკლებ, ვიდრე დანარჩენ ბუნებას, ვინაიდან ეს არის პირველი და უმაღლესი ქმნილება ღვთისა. მაგრამ ადამიანის სულმა მაინც იცნა, რომ ნათელი არის ღვთისგან გამომავალი ძალა, შემცველი მთელ ქვეყნიერობისა და მუდმივ და ძლიერ მოძრაობად მომყვანი წვლილ ნაწილებისა, ყველა სხეულისა და ნივთიერებისა; რაოდენად სწრაფია მოძრაობა, იმდენად მცხინვარება სინათლე. რომელიმე სხეული რომ სრულიად უძრავი იყოს, სრულიად ბნელი იქნება. სრული სიბნელე მხოლოდში არ არსებობს, და თითქმის იქ, სადაც ოთხას ოც და ცხრა ადლის სიღრმეზე მიწაში ჩვენი დღის სინათლით დაბრმობილი თვალი მხოლოდ ღამეს ხედავს, — კიდევ ნივთდება ბროლი და გვხვდება მკენართა დაბალი სახეები, და უღრმეს ზღვის უფსკრულში, სადაც თვალისთვის აღარ წვდება მკირეოდენი სხივიც სინათლისა, — მოძრაობენ ქქმულებანი თავიანთ საშოვრისათვის საკუთარ სუსტ სინათლეზე. და როცა ადამიანი ფიქრობს ღამით, რომ ქვეყანა წყვილიადაა გახვეულაო, ეს მართალია ჩვენი პატარა დედამიწის მხოლოდ მკირე ნაწილის შესახებ. მაშინ როცა მთელი უსაზღვრო გარემო სივრცე ყველგან სავსეა სინათლის ტალღებით, რომელნიც დაჭრიან მარად მზიდან მზემდე!.. მაგრამ სინათლის სხივი, იმის გარდა, რომ საჩინოდ ხდის ყველა სხეულს, მრავალს სხვა საუცხოვო თვისებებსაც შეიცავს. ვინაი-

*) იხ. „შინ. საქ.“ № 24.

დგან ირის ქმნილება მამისა ჩვენისა ზეცათა და ლეთის შვილებს თანაძოთ შეისწავლონ საქმენი მამისა მათისა, ვიტყვით სინათლის შესახებ სოტა დაწვრილებით.

გაატარეთ ნემსის უწვრილესი, ძლივს დასანახავი, ყურწში მკარეოდენი სხივი სინათლისა. თქვენ აქ დანახავთ მთელ სასწაულთა ქვეყანას. მოაყენეთ ეს სხივი წყლის წვეთს და დასდევით გაშადიდებული სარკე, რომელიც დაშლის და გააძლიერებს წვეთში მოთამაშე სხივს. რას დანახავთ იქ? მთელს პაწია ქვეყანას. ყველაფერი იმძრევა, ცოცხლობს, მოქმედებს: დიდროვანი ცხოველები, შესახედავად საზარელნი, სწრაფად დაჰქრიან, უკვამენ ათასობით ნიჩბებს და ულაბვენ მარჯვნივ და მარცხნივ უმცირეს ცხოველებს. ნელად, თითქო ძილშიაო იტყვიან სხვანი წალმა-უკულმა ზოლ-ზოლი ბროლეულ ტყავიანნი. არიან ისეთებიც, რომელნიც შეუწყვეტილ იცვლიან თავიანთ სახეს. სწრაფად ვადიქტევიან ხან მოგრძოდ, ხან მრგვალად, ხან გაშლარტავენ სხეულის ნაწილებს ან ისევ შესწევენ და ერთს წამსაც არ იხვენებენ. ყველა ესენი ცოცხლობენ და არსებობენ ლეთის ნებით; არაფერი იციან ჩვენ შესახებ და ასრულებენ ჩვენთვის უცნობს დანიშნულებას. ამ ახალ სურათს საჩინოდ და სინამდვილით ერთი სხივი სინათლისა ხატავს შენს თვალში, რომელიც სინათლისთვის არის გაჩენილი და შეადგენს აგრეთვე ლეთის ქმნილებას.

ახლა შეკრიბეთ დიდ ღურბინდის შემწეობით მთვარისგან გამოშავალი სინათლე; რა განსხვავებაა!

ეს არის ეხლა მთვარე გეჩვენებოდით პატარა ფარად, ახლა კი...? ფართო ვაკეზე ხედავთ უზარმაზარ მთებს რაოდენიმე ათას ფუტის (საყენის მეშვიდედი) სიმაღლისა; უზარმაზარი დახეტილი, გამოშვრილი ციცაბოთი!, — სხვა ნაირს, ვიდრე ჩვენი ქვეყანაა. იქ, მთვარეზე, სამარადისო სიჩუმეა; იქ არ არის არც ჰაერი, არც წყალი. არასოდეს ქარი არ აშრი ალბებს ხეებს, არასოდეს ნაკადული არ ჩხრი ალბებს დღეში და არ ჩქეფს ტალღა, არასოდეს დრუბელნი არ დასცურავენ ცაზე. ყოველივე

ამას გეჩვენებს სინათლის სხივი, რომელსაც მთვარე გვეგზავნის.

გარდა ამისა სინათლის სხივთაგან დამოკიდებულია ფერებიც, არა მარტო შვიდი ძირითადი ფერი შვილდისა, არამედ ათასობით ნაქვებებიც, რომელთა გარჩევა ჩვენ შეგვიძლიან. თითოეულს ამ ფერთაგანს აქვს სხვანაირი ხარისხის სითბო და სხვა-და სხვა გვარად მოქმედებს ქვეყნიურ სხეულებზე. ზოგ სხივ ქვეშ მცენარე სწრაფად ვითარდება ზოგისა — ნელად, ზოგი აჩენს კიმიურ რეაქციასთან სინათლის სურათებს, ფოტოგრაფიებს, ზოგნი დამამშვიდებელად მოქმედებენ პირუტყვებზე და ადამიანებზე, როგორც ეს სცადეს კიდევაც გონებით შერყეულებზე, სხვანი კი პირიქით გამახელებლად მოქმედებენ. ისეთი ნაკლებად შთაბეჭდილობის მიმღები პირუტყვი, როგორიც ხვითქია (ხვლიკი), სასტიკად ძვინდება წითელ ფერისაგამობლო დროს შეისწავლეს თითქმის სხავის შედგენილობით გამოცნობა იმ სხეულისა, რომლიდანაც იგი გამომდინარეობს. რომ დაიჭირო თუნდ სულ მცირე სხივის პირდაპირ შესაფერად გავლენარებული ქიქა, გამოჩნდება გრძელი ლამაზი ფერად-ფერადი ზოლი და მასში ასობით წვრილი, შავი და აგრეთვე მანათობელი, ფერადი ხაზები. აი ეს ხაზები უჩვენებენ, რა ნივთიერებას შეიცავს რომელიმე სხეული, რაც უნდა იყოს იგი, წმინდა სანთელი თუ ნივთის სანათური, ანუ მზე და შორეული ვარსკვლავი. ამ საშუალებით ვარსკვლავთ-მრიცხველს შეუძლია დღეს რომელიც უნდა ძლივს დასანახი ვარსკვლავისგან გამომდინაოე უუწვრილესი სხივი პრიზმის გვარად გავლენარებულ ქიქათა წყებაში გაატაროს და შეიტყოს არის თუ არა ამ ვარსკვლავზე წყალი, რკინა, ოქრო, საქმლის მარბილი და სხ.; გარდა ამისა ის გამოიცნობს მკვრივ მდგომარეობაშია თუ თხელია ანუ ჰაერგვარი ეს ვარსკვლავი, რომელიც მიქრის მათფლიოში ქარივით; გარშემო არტყია თუ არა მას ჰაერი და უახლოვდება იგი დედამიწას თუ შორდება და სახელდობრ როგორის სისწრაფით.

მაგრამ კიდევ რაოდენი თვისებები შესაძლებელია ქონდეს სინათლეს. ამის შესახებ, შეი-

ძლება, რამეს კიდევ გავიგებთ; უმთავრესი კი წინაგვიძს მომავალ ცხოვრებაში, სადაც განვიხილავთ ღვთის სასწაულებს უფრო მახვილ თვალებით.

და რა საკვირველია ამ სინათლის მოქმედება! მზის სხივი გადის ოც მილიონ მილის (შვიდი ვერსტი) მანძილს მზიდან დედამიწამდე და კიდევ ურჩება ძალა შემოსოს მწვანელითა და ყვავილებით დედამიწა და მისცეს ადამიანებსა და პირუტყვებს ცხოვრებისთვის საჭირო ენერჯია მაშინ, როდესაც სიბნელეში აღზრდილნი არსებანი, თუმცა კმასაყოფელი სითბო აქვსთ, მაინც რჩებიან სამუდამოდ სუსტნი და ფერმიხდილნი

დაახლოებით სამოცი წლის წინეთ საფრანგეთში ვინმე დაგვარბი, ოჯახის მოთხოვნით, კინალამ ქუთა ნაკლებად აღიარა სასამართლომ ფორმალურად, მისთვის რომ ამტკიცებდა, არ შავისვენებ, სანამ არ შევიძლებ დავიჭირო და გამოვაჩინო შუშაზე სახეები და სურათები, რომლებსაც სინათლის სხივი შეიცავსო. ეს მაშინ სისულელედ მიაჩნდათ ადამიანებს. ახლა ბავშვმაც იცის, რომ შესაძლებელია ფოტოგრაფიის შემწვობით სურათის გადაღება ყველა განათებულ საგნისაგან, ე. ი. სახილველი გახადო მისგან გამოძველი სინათლის სახე. ამით დამტკიცებულია, რომ ყველა ჩვენგანი და ყველა საგანი იძლევა სივრცეში, მუდმივ, უხილავად, გამოხატულებას, სახეებს. სინათლის სხივი, მთელ მის სისწრაფესთან, მაინც უნდება რაოდენიმე ხანს, რომ გაიაროს მანძილი ერთი ადგილიდან მეორემდე. ფუკოს სარკის იარაღით შეგვიძლია გაუზომოთ ეს დრო, ე. ი., სინათლის სისწრაფე და კიდევაც ვიცით, რომ იგი ანდომებს რვა წუთს მზიდან დედამიწამდე მისაღწევად; ოც და ათს წელს — პოლუსის კერძო ვარკვლავიდან ჩვენამდე. შეეჩერდეთ ამ უკანასკნელ მაგალითზე. ამ ვარკვლავის სინათლე, რომელსაც მოაქვს მისი გამოხატულება, გამოვიდა მისგან ოც და ათი წლის წინეთ და, მაშასადამე, გვაჩვენებს, როგორ ანათებდა იგი ოც და ათი წლის წინეთ და არა იმას, თუ როგორ ანათებს იგი ახლა, ისე, როგორც, ჩინეთიდან რომ წერილი მიიღოთ, გამოგზავნიდან

ექვსი თვის შემდეგ, თქვენ გაიგებთ, რომ თქვენი ნაცნობი ჯანმრთელად იყო და აკეთებდა ამათუ იმ საქმეს მაშინ, და არა ეხლა; ამ დროის განმავლობაში ხომ შეიძლებოდა ის ავად გამხდარიყო და მომკვდარიყო კიდევაც. აი ასეა პოლუსის კერძო ვარკვლავის ვარემგებაც. ჩვენ ნამდვილად იმას კი არ ვხედავთ, არამედ მხოლოდ იმის სინათლის გამოხატულებას, როგორც გამოვიდა მისგან ოც და ათი წლის წინეთ. ვარკვლავი რომ ათი წლის წინეთ გამქრალიყო ჩვენ მაინც დავინახავდით იმის სინათლეს ოცი წლის განმავლობაში, და მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი ჩაქრებოდა ჩვენთვის. მეორე ვარკვლავიც „ორიონის“ ვარკვლავთ-კრებულისაგანი (იოზ. 9, 9. ამოსი 5, 8) ისე დაშორებულია ჩვენგან რომ იმის სინათლის გამოხატულება აღწევს ჩვენამდე ხუთას წლის შემდეგ და ამისთვის შესაძლებელია გამქრალიყო იგი რეფორმაციის დროს და ჯერ კიდევ მაინც სჩანდეს დედამიწაზე. ამ გვარად ჩვენ ვხედავთ ვარკვლავებს იმ სახით კი არა, როგორც არიან ახლა, არამედ როგორც იყვნენ; ცაზე ჩვენ წარსულს ვხედავთ და არა აწმყოს.

ახლა წარმოვიდგინოთ წინაუკმო მაგალითი, სახელდობრ — რომ ვინმე უცქეროდეს იმ ვარკვლავიდან დედა მიწას, თუ ვარკვლავის გამოხატულება აღწევს დედა მიწამდე ხუთას წლის შემდეგ, დედა მიწის გამოხატულებაც მიაღწევს ვარკვლავამდე იმდენივე ხნის შემდეგ. ამისთვის ვარკვლავზე მცხოვრები დაინახავდა დედა მიწას იმ სახით, როგორც იყო იგი ხუთას წლის წინეთ ე. ი. კარგის ტელესკოპით იგი დაინახავდა იმას, რაც ხდებოდა 1405 წელსა. ამ ნაირად მსოფლიო სივრცე სავესა ყველა დროის ყველა არსებათა და ნივთთა სახეებით და არის, ასე ვსთქვათ, „წიგნი სინათლისა“, რომელიც შეიცავს ნამდვილის სინათლის სურათს, თითქოს ფოტოგრაფიის ყველა საქმისა და შემთხვევისა. ჩვენ, ადამიანებს, რასაკვირველია, არ შეგვიძლია ამ ხელთნაწერის წაკითხვა. არიან თუ არა კენ მიერ ხილულ ცის ბრწყინვალე სხეულებზე არსებანი, რომელნიც შესაძლებელია უკვდავ თვალებით კით-

ხულობენ მას-ეს ჩვენ აღარ ვიცით. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დაუშვათ, რომ ღვთის ანგელოზები მიმომაველნი ქვეყნიდან ქვეყნად მის ნების აღსასრულებლად, ხედავენ ამ სინათლის სახეში ქვეყნის მთელს ისტორიას. უეჭველია, რომ ღმერთიც ხედავს მას, ვინაიდან შემქნელი თვალისა, როგორ შეიძლება არ ხედავდეს? ამას შეუძლია რაოდენიმე წარმოდგენა მოგვცეს ჩვენ იმაზე, რომ ღვთისათვის წარსული და აწმყო ერთი და იგივეა.

ყველა ეს საკვირველება და ვინ იცის რადენი კიდევ სხვა, დაფარული ჩვენთვის ნათლის სახეში, გამოიწვია ერთმა სიტყვამ: „იქმენინ ნათელი“. ქეშმარიტად დიდი და მიუწლომელია დამბადებელი!


და ჩვენც თავის შვილებს ღმერთი გვიწოდს ნათლისკენ, ვინაიდან ნათელშია მთელი ცნობა, ბნელში კი მთელი უმეცრება, და გარდამავალი სინათლეც მზისა გვიჩვენებს მთელს ბუნებაში სიცოცხლეს მხოლოდ სინათლეში, სიბნელეში კი სიკვდილს. ჩვენ კი იესო ქრისტეს ქეშმარიტ მორწმუნეებს აღთქმული გვაქვს, რომ ჩვენ ოდესმე ვიცხოვრებთ ნათელსა შინა, სადაც არ იქნება არავითარი სიბნელე და სადაც ჩვენ გავბრწყინდებით ვითარცა მზე აღდგომილ ხორცში სავანესა შინა მამისა ჩვენისა. როგორი საკვირველებანი სინათლისა გარშემოგვიცავენ მაშინ და გამოჩნდებიან ჩვენ შორის! რანაირად უნდა გვახსენებდეს ყოველივე ეს, რათა აქაურს საპრობილეში შევიქნეთ ნამდვილნი ძენი ნათლისა!

უკეთეს შემდეგ თქმულია: „და უწოდა ღმერთმა ნათელსა დღე და ბნელსა უწოდა ღამე“ ამით იგი სრულიად გარკვევით უჩვენებს, თუ რას გულისხმობს დღისა და ღამის ქვეშ, და როგორ უნდა ვიგულისხმოთ განსაკუთრებით ქვეყნის გაჩენის შესახებ მოთხრობაში „დღე“ და „ღამე“. არა ჩვენი დღე და ღამე თორმეტ საათიანი; შესაქმნის პირველ დღეებში არ იყო კიდევ მზე, არამედ ხანგამოშვებითი დრონი სინათლისა და სიბნელისა, რომელთა სიგრძეზე არსად არაფერია ნათქვამი. გავახსენებთ აქ მუხლს „ერთი დღე უფლისა წინაშე, ვითარცა

ათასი წელი და ათასი წელი, ვითარცა ერთი დღე“ (II. კათოლ. პეტ. 3, 8).

(შემდეგი იქნება).

თანოფრე მწიბი.



ყმაწვილებს.

საქმე მინდა, სიტყვით მხოლოდ ვერ დამიტკობთ დაკოდილს გულს... ზნეობას და მამაცობას დღეს ვერ ვხედავ მე ძველებურს. გული კვენისის და თვალგზზეც მეფარება ბნელად ბური — სიტყვის საქმით განმტკიცება მენატრება ძველებური. არ მეძრახვის იქვით აღვსილს უიმედო მღელვარება: მამა პაპათ მალალი ზნე წინ მიდგია, ვით ოცნება: სიმამაცეს ველარ ვხედავ, წამირცხეს სიტყვით სმენა; ნუთუ ენის ქარტალით ვგრძნო სიამე და აღმაფრენა?! — არა, არა... სიტყვა საქმით გეტყვი, განახორციელე; საქმეში სჩანს მხოლოდ სულის სიმტკიცე და სიძლიერე. მამათაგან ნაანდერძვეს ნუ მიპილწავ მალალსა ზნეს — ზნეობა სჯობს მანათობლად უბრწყინვალეს მთვარეს და მზეს. მამაპაპათ წმინდა საფლავს, მამულს და იქ დამარხულ ძელებს ნუ მილანძლავ, ნუ აყრი მტვერს: — თუ სამშობლო არ გვექნება სიცოცხლედ კი ჰკარგავს ელფერს... მაშ ყმაწვილო, მალალის ზნით ვზომით ჩვენი მოქმედება, მერწმუნე რომ ბნელი ღამე უფრო აღრე გათენდება;

და ცისკარიც განთიადის
ბრწყინვალეებით მოგვაშუქებს,
მტერიც მალე მოგვშორდება;
დახვეს მის ყალბ თამასუქებს!!

ივერიელი.



**მოსის თქმულება აღაშინა და ევას შემო-
ღებაზე ნამდვილი ისტორია, თუ ალმ-
გორია და მითი?**

(გაგრძელება *)

VIII.

მესამე საღამოანად ხდება გველის ენა — ღა-
ზარაგი ეკასთან. როგორ შეიძლება გველის ღაზ-
არაგი? გველითხებთან რაციონალისტები შეიძლება
ღვთის მიშვებით და კშმაკის ძალით ისე, როგორც
ყოველი სასწაული. გამოხეთქება წელისა კლდე-
გან, გამობა ზღვისა, ტყვლში არ დაწვა ბუჩქისა,
სასხლად ქვეა ხილას მდინარისა და სხვა მრავ-
ლა. ვე აივარი საბუთისა ისიც, კითხვად ადამი და ევა
გაითხებდნენ, ფანტაზიობდენ და რომ მათი და
გველის საუბარი უფრო ფრთხილ-შესხმული პოე-
ზიას, ვიდრე რეალური ფაქტი. ჩვენ ზვეით ვრცლად
განვიხილოთ ეს შესაძლებელი და მისი უადგილობა.

გაგრძელებენ იმაშიც, კითხვად ებრაელებს წარ-
მოდგენს არა ქმნდათ კშმაკე ბაბილონის ტყე-
ობამდის, რომ მათ მხოლოდ მერე შეითვისეს ეს
წმინდა სწარსებებიდან. მაგრამ დაეკუთროთ? რა
შეადრება სწარსებების ბორბოტ სულსა და ებრაე-
ლების კშმაკს შორის!? არაფერი თითქმის. ებრაე-
ლების კშმაკი — ბორბოტ სული არის ქმნილება,
წინეთ კეთილ ანგელოსად უფილი და ისეთი სუ-
სტი, რომ ყოველ კაცს შეუძლია თუკი წმიდა
ცნობრებას დაადგება, ებრაელს მას — ბორბოტ
სულს; სწარსებების ორიანი-კი არის თავითუკი
დასახამიდან, ბორბოტი ღმერთი, რომელსაც მუ-
დამ პოული ძალ-ღონით ებრაეის მერე ღმერთი,
კეთილი ორმუხდი და კერას უხერხებს. სხვათა-
რად რომ კითხვით, სწარსებების ორმუხდი და
არამინი თანტოლი ღმერთობა (ღუღიზში), ებრაე-

*) იხ. „შინ, საქმ.“ 11. №

ლების მოძღვრებით-კი კშმაკი ღვთის ტოლია კი
არა, მისი ქმნილება კი არაფერი.

ან ის რა დასაჯებელია, კითხვად ებრაელებს
არ ცოდნოდესთ ბორბოტი სული ბაბილონის ტყე-
ობამდე, როცა ისინი დაუხლოდნენ სწარსებებს.
მოსეს მერე სველში (32, 17) სწერა, რომ ე-
გვას უწინდყოფილი ებრაელი „უზარდადეს *)
კშმაკით მიმართ“, მოსვე მესამე თავის წიგნში
(ლევიტოს) იხსენიებს აზრს, რომელიც
შეშველად არის ბორბოტი სული. მერე თხა,
უდბნოში გასაგებად გამოხადლი მოასწავებს: კშ-
მაკისაგან ქმნას, განშორებას; სხვათაგან ამ სჯ-
ციელს არაფერი აზრი არ მოეპოება (ღ. 16, 10)
დასასრულ, ესო ქრისტი, ეს მერე ადამი, გამო-
იციდა კშმაკისაგან, როგორც, პირველი ადამი,
იმ განსხვავებით, რომ პირველი ძველ იქმნა და
მერე — მძველი. ადამის ისტორიაში რომ კშ-
მაკს ადგილი არ ქონდეს, მაშინ ესოც გამოცდას
შმაკისაგან არავითარი აზრი არ ქმნებოდა; საუ-
კეთესო მერხიერთა აზრით, ისიც კი არის სათქმე-
ლი, რომ მხოლოდ კშმაკს შეეძლო და არა უბრა-
ლო პირუტყუს, შეედგენ ადამისა.

მაგრამ დაეთანხმდეთ, რომ შეძლებულია მარ-
ტო გველი იყო და ღმერთმაც ის დაწვეკლა და
არა კშმაკი. მერე? მერე და გამოგვიყიდა მასობა-
ბა! შეცდა ადამი. მათი დაეცა მთელი კაცობრიობა,
ე. ი. მოსდა უუდიდესი აქტი ადამიანის ცნობრე-
ბაში, რომელმაც ღვთაება რიდან ჩამოაყვანა და კ-
ცის ხორცი შესას, გოლგოთზე მოჭკლა. მერე
ქვედრეთით დადგინა და სხვა, და რომ კაცმა კმა-
ყოფილება მიიღოს ამში და თავისი ღმრსება ადა-
გინოს, მას მიეცა უფლება გველის თავის შემუ-
სკრისა! ესა კაცის მერე მოკვდა და არა ხსნა,
მისი სასაცინოდ აგება და არა შელახული ბუნე-
ბის ადგენა დაკმაყოფილება! გველი, როგორც
უგვლა პირუტყვი და ქვეწარმავალი, რომ წინეთუკი
დაუძირნიდა ღმერთმა კაცს (დაბადება, თ. 1,
28—31)?! ღმერთმა „მტრობა დასდო შორის
გველისა და შორის დედაკაცისა“ და ეს მტრობა
უსათუოდ შეესება გველში შეფარებულს ბორბოტს
სულს, რომელიც მუდამ ებრაეის კაცს.

მაგრამ უწმინდა რაციონალისტები კადკა არ

*) ე. ი. კშმაკებს სწირავდენ სხვერბლს.

გაკვეთებენ. ასინა დაქინებით გაიძახიან, რომ მოსეს თქმულება აშენებულა სხვა წარმართ საღესბათის თქმულებებზე — მითოდგაიხე და მასსადამე უღამარა და არა ასტორაია.

გაკვეთსანყოთ კბილა ამ თეორიასაც.

ტონკელი.

(შემდეგი იქნება)



შეუქმებლობა სოციალიზმისა.

კარი პირველი

განსილაკა ზოგიერთ წინასწარ საკითხთა.

§ 1. სოციალდემოკრატიული კეკემალულობის თამაშობა.

(გ. კატრენის წიგნიდან „სოციალიზმი“)

6. „საკითხი მომავალს სახელმწიფოზე არის ერთი იმ საკითხთაგანი, რომელზედაც შეუძლიან და მისცემს კიდევ პასუხს მხოლოდ სულელი“, უთხრა ლიბკნეხტი რეისხსტრაგის ერთს დეპუტატს და ბოლოს დაუმატა: „რაც შეეხება მომავალს სახელმწიფოს, ეს ფანტაზიის საქმეა... მომავალი სახელმწიფო არის იდეალი, მაგრამ მეცნიერებას არაოდეს მასთან არაფერი საქმე არა ჰქონია. ჩვენს პარტიას არაოდეს არ შეუტანია თავისს პროგრამაში უტოპიები. მხოლოდ უტოპიის ფორმით თუ ელაპარაკებოდა ბოლშე პარტია მუშებს მომავალს სახელმწიფოზე.“

ლიბკნეხტს აღარ შეეძლო ამაზე უფრო დამლუბველი განაჩენი გამოეგონა თვისთვის და პარტიისათვის. თუ ისინი, ვინც უპასუხებენ საკითხზე მომავალი სახელმწიფოს შესახებ სულელები არიან, თუ სოციალისტებს და მათთან ერთად ლიბკნეხტსაც უკვე უძლეველია ამ გვარი პასუხები, მაშინ რომელი კატეგორიის ხალხს აკუთნებს ლიბკნეხტი თავისს თავს და თავის თანამოაზრეებს.

რასაკვირველია, ს. დემოკრატიულ კეკემალულობის პროგრამაში მცირე ცნობები მომავალ საზოგადო წყობილების შესახებ, მაგრამ

პარტიის მეთაურები ათი წლის წინ დაწვრილებითს პასუხს იძლეოდნენ იმ კითხვებზე, რომლებზედაც ლიბკნეხტის აზრით, მხოლოდ სულელს შეუძლიან პასუხის მიცემა. თვით ლიბკნეხტი მომავლის სურათს გვიხატავს თავის თხზულებაში „საადგილმამულო საკითხის შესახებ“, რომელიც თუშკა 1876 წ. მეორედ გამოიცა, მაგრამ ეხლაც იყიდება ბერლინის **Borvarts**-ის ის წიგნებით სავაჭროში. და აი ამ თხზულებაში, სტატიაში: „რა არიან ს.-დემოკრატები და რა სურთ მათ?“, ლიბკნეხტი ძალიან დაწვრილებით აღწერს მომავალს სახელმწიფო წყობილებას.

უფრო ვრცლად და დაწვრილებით ლაპარაკობს ამ საკითხზე ბებელი თხზულებაში „ჩვენი მიზნები“ და განსაკუთრებით წიგნში „ქალი“, რომელიც სავსეა მომავალი სამოთხის აღწერით. 1904 წ. ეს წიგნი მეოცდაჩვიდმეტეჯერ გამოიცა და ამ უკანასკნელს გამოცემაში მოყვანილია ძველი აღწერა. რომ ბებელი ეხლაც იმ აზრისაა, რასაც აზობდა წიგნში „ქალი“, ეს მან ცხადად გამოხატა რეისხსტრაგში ყოფილ ცნობილ კამათში მომავალი სახელმწიფოს შესახებ.

ამასთან მან ორჯერ დაამოწმა, რომ, რაც სურთ ს.-დემოკრატებს, ის ვრცლად მოიპოვება ს.-დემოკრატიულს ლიტერატურაში. ამ რიგად იმ დროს, როცა ლიბკნეხტი აცხადებს, რომ მხოლოდ სულელებს შეუძლიანთ უპასუხონ მომავალ სახელმწიფოს შესახებო, ბებელი გვითთებს თავის წიგნზე — „ქალი“ და საზოგადოდ სოციალისტურ ლიტერატურაზე, რომელშიც იპოვება პასუხი ამ საკითხებზე; და იმავე დროს ლიბკნეხტი ამტკიცებს, რომ ს.-დემოკრატიულ პარტიას არაოდეს არაფერი არ უთქვამს მომავალს სახელმწიფოზე! რა აზრისანი უნდა ვიყვნეთ ჩვენ იმ პარტიის შესახებ, რომლის წინამძღოლნიც ამ გვარს წინაუკნობაში სცვივიან და ამბობენ იმას, რასაც მოითხოვს მათგან მომენტი?

ლიბკნეხტის და ბებელის მსგავსად სოციალიზმის სხვა მომხრეებიც იძლეოდნენ მომავალ სახელმწიფოს აღწერას, ე. ი. იძლეოდნენ პასუხებს ამ საკითხზე, რომელზედაც, ლიბკნეხ-

ტის აზრით, არც ერთი ჰქვიანი კაცი არ მისცემდა პასუხს. მაგალითად ვაჩვენებთ ი. შტერნს, ო. კოლერს, ატლანტიკუსს, კ. კაუტსკის.

სოციალისტები ვერ მოიბოდიშებენ თავის თავს მითი, რომ ეს მხოლოდ კერძო პირების შეხედულობააო, რადგანაც ეს კერძო კაცები არიან პარტიის ცნობილი წევრები და არც მკირდნი არიან ისინი. და თუ ისინი, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს პარტიის წინამძღოლებად, რომლებსაც თითქმის ეკლესიის მამებად სთვლიან, იძლევიან ამ გვარ პასუხებს, როგორღა უნდა იყოს საქმე მომავალი სამოთხისა ხალხის მასაში?

7. მომავლის დახატვით ს.-დემოკრატებმა დაჰკარგეს ის უკანასკნელი თავშესაფარიც, სადაც მათ შეეძლოთ დამალვა მოწინააღმდეგეთაგან; „ჩვენ არ გვეჭირვება, ამბობდნენ ისინი, მომავალი სახელმწიფო წესწყობილების გეგმა, რადგანაც არავინ არ იცის რა იქნება მომავალში და ყველა ამ გვარი გეგმები მხოლოდ ოცნებაა. მეცნიერულმა სოციალიზმმა დიდი ხანია ის უკან დასტოვა.“ ამის თქმის ნება არა აქვთ იმათ, ვინც თავს იქცევენ მომავლის სურათებით, როგორც ეს არა ერთხელ უქნიათ ს.-დემოკრატიულ პარტიის წინამძღოლებს.

მაგრამ უამისოდაც, დამტკიცება, რომ ჩვენ არაფრის ცოდნა არ შეგვიძლიან შესახებ იმისა, თუ რა იქნება მომავალში, ყალბია მიტომ რომ კაცი ყოველგან დარჩება იმად, რაც არის: იმავე სულიერ-გრძნობიერი გონებით, იმავე სულიერი მიზიდულობა-სიძულილით, იმავე თანდაყოლილი მიდრეკილებით სიამოვნებისადმი, სიზარმაცისა, თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისადმი და სხ. და ამიტომ ყოველი საზოგადოებრივი წესწყობილება, რომელიც ეწინააღმდეგება ამ ამოუფხერელს ბუნების თვისებას, შეუძლებელია მომავალში.

მაგრამ ბებელიც და სხვებიც, რომლებიც ეხლა ლაპარაკობენ მომავლის გეგმის აშენების შეუძლებლობაზე, ყოველთვის ამ აზრისანი არა ყოფილან ამ საკითხის შესახებ. თხზულებაში: „ჩვენი მიზნები“, რომელიც 1903 წ. მეთერთმეტედ გამოაოცა, ბებელი სწერდა: „ყოველს დროში პრაქტიკული მოქმედება უკან მისდევდა

თეორიულ მსჯელობას. გეგმა მომავალი სახელმწიფოსი დაწერილებით შემუშავებულ უნდა იქმნას მის განხორციელებამდე.“ სწორედ ამგვარადვე კაუტსკი იკვლევს საკითხს იმის შესახებ, თუ რა მოხდება „რევოლიუციის შემდეგ მეორე დღეს.“

შეიძლება ბებელმა სკადოს უშველოს თავს განსხვავების ჩვენებით: „ოდესღაც“ და „ეხლაც“ შორის. როცა რეისტაგის ზოგიერთმა დებუტატებმა ჩვენს წინააღმდეგობა მის შეხედულებათა შორის, უპასუხა, რომ ეხლა მან გამოსცვალა თავისი აზრი, რომ ეხლა ის დაწინაურდა თავის განვითარებაში. ამასთანვე იგი გამოიტყდა, რომ მისი პარტია, „მუდამ ხუნდება.“

აი, ამგვარად, ის მეცნიერება, რომელიც მუდამ ენაზე აკერიათ ს.-დემოკრატებს! თვით ბებელი თავის წიგნის „ქალი“-ს ყველა გამოცემას ათავებს ასეთი ამაყური ტრაბახა სიტყვებით: „სოციალიზმი სიცხადით და სავსებით არის სამეცნიერო დისციპლინა, შეფარდებული კაცის მოქმედების ყველა მხარესთან.“ და ამავე დროს თავის პარტიას და თავის თავს იცავს „მუდმივი ხუნების“ ჩვენებით. მაშ რაღა მეცნიერია ის, ვინც დღეს უარყოფს, როგორც ცთომილებას იმას, რაც გუშინ უეჭველ ქეშმარიტებად მიაჩნდა. ქეშმარიტი მეცნიერება აშენებს თავის შენობას მაგარი კლდის ქვებიდან, აშენებს საუკუნოდ. ჯერ კიდევ საუიქრებელია, რომ რომელიმე დებულება ერთს მშვენიერს დღეს, შეიძლება, უარყოფილ იქმნას, როგორც არა ქეშმარიტი; ის შეიძლება იყოს ყოველივე, რაც გნებავთ, ხოლო არა შედეგი ქეშმარიტი მეცნიერული ცოდნისა. თუ ს.-დემოკრატია „მუდამ ხუნდება“, ყოველ შემთხვევაში მას მართებს უმეტესი სიმდაბლგე, ვიდრე რასაც აცხადებს. მაგრამ ქეშმარიტი ცოდნა და ქედმაღლური ტრაბახი საზოგადოთ ერთმანეთთან ვერ თავსდება.

რაც შეეხება კერძოდ თვით ბებელს, მას უფლება არ უნდა ჰქონდეს თავი იზარტლოს „მუდმივი გახუნებით“, რადგანაც ის სურათები მომავლისა, რომელიც მან მოგვცა თავის თხზულებებში, გაიმეორა თავისი წიგნის „ქალი“-ს

უკანასკნელ გამოცემაში. მაშ რაღათ იძლევა იგი ამ სურათებს, როგორც საუკეთესოებს, თუ მისი შეხედულება ამ საგანზე გამოიცვალა? თუ დღეს, როგორც ის ამბობს, არ იციან როგორ იქნება საქმე 30-40 წლის შემდეგ? ან შეიძლება ეს მიტომ ხდება, რომ ამ გვარ სურათებს ჯერ კიდევ აქვთ ვასაფალი, როგორც საფიტაციო საშუალებას?

ნათქვამი გამოსაღვია ს.-დემოკრატიული ტაქტიკის დასახასიათებლით. საცოდავი ბაქიური პოლიტიკის და ს.-დემოკრატიული მიზანთა დაფარვის გამო, ძალიან სამახსრო შთაბეჭდილებას ახდენს Vorwarts-ის მამაცური განცხადება: „ჩვენ არაფერს არა ვფარავთ, ჩვენი დროშა ახლილად ფრიალებს! მხოლოდ ჩვენს პარტიას შეუძლიან არ დაფაროს და არცა ჰფარავს ხალხისგან თავის მიზნებსო“

ნაიარყანელი.



მამაციანობის გავრცელება რსებში.

(კავკასიის მხრეში).

გამოვიდა თუ არა კანონი სარწმუნოების თავისუფლად აღიარებისა, თოფა წამლაგვით იფეთქა და დღით დღე იწეო რსებში გავრცელება მამაციანობამ. დაუძინებელი მტრები მართლმადიდებელ ქრისტიანობისა, ფანტაზი მოღება, თავისუფლად დაიარებან ქრისტიან რსების სოფლებში; ჭადაგობენ თავისუფლად, ჰმარდებან სხვა და სხვა სახეობებს და ეუბნებან: მაილეთ მამაციანობა, და ჩვენას ხარფით ავიშენებთ მენითებს, და მებატონე ჩურჩხები მოგცემენ, რამდენიც გინდათ თავანთ მანება სამეშაოდ მაწას წადს უფასოთა და სხვა... ამასთანავე ფანტაზი მოღება აქეზებენ ეკლესიების წინააღმდეგ ახალგაზდობას. მათის (მოღების) ჩავრებით, შარველად დაწეო სანების სამეშაოში ხალხს გათათრება და 1905 წელს ას კომლზე მტრი გათათრდა. ეს არაფერია, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომა ეკლესიებს, სადაც რამოდენიმე ათი და ოცა წელიწადი სრულდება წარულოცვა და აწითება წმიდა უსისსლო მსხვერპლი, აუბატორებს და ბაღწაებს. შარველად სანებაში

დაწეო, ამნაირი სამწუხარო მოკლენა. 1905 წ. 15 მარამობისთვის დამეს გასტეხეს სანების ეკლესია; წაშილწეს წმიდა ტრაპეზი და ბარძამი წამურტლეს. ამავე წელში სხვაგან, რსების ორს სოფელში, გამარცხეს ეკლესიები, ორგანე ჩამოსხნეს ხარები. ერთგან, სანელად ნოტევაში, წამურტლეს არ ჰამარეს, კარები დაამტოვეს, გუშათზე ვვარი მოგდაფეს, კანკელი მიღწე-მოღწეეს და შიგ ადარაფერი გაუშეს; დღემდინ ასე უფერადღობდ არის მიტოვებული წმიდა ეკლესია. მოღება წინადაც სომ იერენ და ჩუმათ დამრწოდენ სოფლიათი სოფლად, მაგრამ 1905 წელს უმაღლესმა მანიფესტმა მამაციანობის მისიონერები ერთი-ორად წათამაშა, ფრთები შეასხა და ცხადათ იწეეს თავანთ მიზნის მისწევა. 1907 წელს სანების სოფელში მოვიდა გრძნელი მდიდაჩა ჩურჩხა დოკე — ორის არსანუგავეა, რომელსაც თან ახლდენ თერგის ოღქას უფროსი „მილიციონერები“ (ქასტები) და სხვა. არსანუგავეა, „სიხა“ — მათომდა წმინდა კაცია. სიხმა არსანუგავეს სანებაში ერთი კვირა დაჭეო, და თავის ფანტაზიურ ჩავრებით, ხადსს არწმუნებდა: „მე დეთას ჩავრებით ვარ თქვენ შორის მოკლენილი, რომ მამაციანობასე დამტეა-ცლოთ“. მდინე მოწმუნე რსებიც მოწიწებით უსმენდენ რასაკვირვლად „სიხს“. არსანუგავეს, შეჭვარა ახალი გამამაციანებელი რსება, სამრეკლოს ეკლესიასთან 20 საკენის მოშორებით, უოვლად უშიშრად და თავისუფლად ქრისტიან სსაფელას შუა აქ შესდგა მადლობზე და აქეთ-იქეთ დაიწეო თვალების ბრადი, მითომდა ალღახსანგან ელოდა ჩავრებას. კარგა სინის შემდეგ მარდურმა გაიშვირა ხელი შუა სსაფელასკენ და დაიძხა: „აი აქა სურს ალღახსს მქნათის აშენებაო“ და დაწეებანთ სმარკელის თხრა, რსითვისაც თავთ შესწირა 100 მ. ამასთანავე, მქნათის ასშენებლად, სანებნეთში შეწარულებით ფულის შეკრებას მეთაურობდენ თავთ იეასრა, და, როგორც დარწმუნებით გავიგე, მას აქეთ ავკრ 10000 მანეთი შეკრებაა. „სიხა“ არსანუგავეა უვარ რომ დაბრუნდა, თან წაიუვანა თორმეტა ბიჭი სანებნეთში არბული წიგნის სასწავლებლად. 1908 წელს იენისში, სანების ეკლესიას ხელმოკრეთ მავუნეს შეურაცხება: ჩამტკრავს სუკელა ფანკრება, გავსუსს ქვებით ტრაპეზი და სუდრის თავი; ფრანკელები

მაგ ფრანკებს და სურთან იჭობას. გარედან თითო-რად გაღვნილი საყდრის კედლები აჭრულბუღია კარანდაშით ნაწერი სამკელი და ურეზურო სიტყვებით რომლებიც, მიმართულად კლადიკაქვის კმარქაის მთაურობისადმი. სატირალი და საკვირველი ეს არის, რომ ყველა ამებს ცხადლევ სედაგს ადმინისტრაცია და გუგუროლად ურქერას, თათქას ბუნი არსათ აფრენილად...

ბეგრი გადავიდა ქრისტიანობადან მანქმადიანობაზე; ქურთათის სეობაში და ღაგუკის სამკელოშია. სხვა და სხვა ოსების სამკელოშია, შიგა და შიგა კტეობათ, რომ ბეგრი ემზადება მანქმადიანობას მიღებას, რის უტეუარია ნაშინა ქალების გათხოვება მანქმადიან ოსებზე, რაიცა აქამდინ მადიან იშკათი იყო. ახლა ესთქვათ: ასალი კანონით ყველას საწმუნოების თაგისუფლად აღვიარების ნება ეძლევათ, მაგრამ არა მუხიან, ასლამის საწმუნოების მქადაგებელი მოღლებს, ის ნება ჰქონდეთ მიტეული, რომ ქრისტიან სოფლებში თაგისუფლად ინჯარდონ, და სხვა და სხვა საწმუნოების დაპირებით და მოტეუებით ქრისტიანება იბირონ მანქმადიანობაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქრისტიანია მისიონერა რომ ქრისტიანის სოფელში მივიდეს და ქადაგობა დაიწუოს, ცოცხლს არ გაუშეკებენ, და თუ რომ რამე განტებათ არ მოკლეს, უსათუოდ მოტეათსმენ მანინ ვისა ნებათვით მივიდა მათ სოფელში, და არათერ შემთსეკაშის ეპკლესიების აშენების ნებას არ მისცენ ისე, როგორც მოღლებმა თაგისუფლად დაიწუეს ქრისტიან ოსების სოფლებში საჯარდობა და მქითების შენება. მამ რატომ მოღლებს კი არაუინ მოტეათსავს, აქთ თუ არა ნება ასე თამამად იარონ ქრისტიან ოსების სოფლებში, ატეუონ ხაღსა, აშენონ მქითება და აქეზონ ხაღსა ეპკლესიების წინააღმდეგ?

ამხანად თუ მადდურ მოღლებს არ აუკრძალათ ეპკლესიების აგება ოსების სოფლებში, მართლმადიდებლობა დიდ განსაჯელმა ჩაკარდნილი, ჰეშმარიტად, აქ სამკალი ფრად არს და მომკალი მიტარედ.

ქართველი ოსებში.

აკაკის.

შენი ქირიზე პოეტო,
ჩვენო მცხოვანო აკაკი!
„უკანასკნელის“ წაკითხვამ
გულში დამისვა მე ნაკი.

ვაჰმე თუ რომ დაგაღონა
ქართველთა გულგრილობამა,
ამიტომ ჩაფიქრებულხარ
და მოგწყენია მგონობა.

მაგით ნუ დაგვიღონდები
გულს ნუ გაიტებს კლდოვანსა:
შენც კარგათ იცი, პოეტო,
რომ მხნე კაცი სჯობს მცონარსა.

ვამხნევდი სულით—ვამხნევდი,
ააწრიბინე კალამი,
ზოგს გაჰკარ მწევეე ისარი
და ზოგსა უძღვენ სალიამი.

შორს შენგან „უკანასკნელი“!
რა დროს მაგისი თქმა არი?!
ჯერ შენ ბევრი გატქვს საკაფი,
გზა ეკლიანი სავალი.

გაჰკარ ტალ-კვესი, მოხუცი!
გაყაროს ნაპერწკალები
წელში გამაგრდი იარე,
შენს თეთრს წვერს ვენაცვალეები.

ხომ იცი: „ბერი ხარისა,
რქინიცა კარგად ხვნიანო“
„ქირში მხნეობა, სიმაგრე,“
ჩვენო წინაპართა სთქვიანო.

მომართე შენი ჩონგური,
დამღერე ძველებურადა;
ამოსთქვი მაგ ტეხილის ენით,
რაც გულზედ გაწვეს წყულულადა...
ქართველი ოსებში.

27 დეკემბერი 1904 წ.
ლარსი.



X რა დროში ვართ?! *

მართლაც რა იქნებოდა კაცობრიობის თავზედ მაშინ, რომ ყველა მელექსეებს, რომანისტებს, მეგაზეთეებს ის ეწერათ, რასაც ნამდვილი ცხოვრება წარმოადგენს მისი გარყვნილებით და უზნეობით?! ან რა დასაწერია, ან რომელი ჭკუზე მყოფელისთვისაა საჭირო იმის აწერა, თუ რა მოხდა თვითველს ღამეში თვითველს საძინებელს ოთახში, ან კულისებს უკან, ან ტყეში, ან მდინარის პირზე, ან მთვარიან ღამეში?! რას ემსგავსება ასეთი ლიტერატურა, რა იდეალს განახორციელებდა იგი კაცობრიობაში?? განა დარჩებოდა კიდევ ქვეყანაზედ ცოცხალი ან ჯანსაღი ერთი ადამიანიც-კი, რომ მწერლობას ყოველთვის ასეთი ხასიათი და მიმართულება ჰქონოდა?! განა ყველა ჭკუაზე არ შეცდებოდა და ნევრასტენიკი არ გახდებოდა?! ყველას დამბლა არ დაეცემოდა ასეთი სცენების მუდმივი კითხვით?! მაგრამ ეს ემართება მას და ადგია ამ გზას ის, ვისაც თავი ფუნისკენ უქნია, ზეცა უარუყაფია და მხოლოდ მიწიერი ტალახის და ნაგავის ჩიქნაში დაუსახავს თავისი აწმყოც და მომავალიც! მისთვის უმაღლესი ხელოვნება—მეჭურვობა და მეჩქმეობაა უმაღლესი გემოვნება—კალბასის კეთება, უმაღლესი მშვენიერება საროსკიპოების სცენების ზედმიწევნითი აწერა და საბოლოო იდეალი,—ძღომა—ლოთობა განურჩევლად ზომისა და საშუალებისა! შედეგი კი ამისა არის ძალთაპირობა და კაცთა ქაობა, რომელზედაც ძველი კოსმიური მითოლოგია მოგვეთხრობს. მაგრამ ამისთვის რათ იკლავდა და იკლავს თავს კაცობრიობა?! განა ეს უამისოდაც არ იქნებოდა?! ამას ნუ თუ შექსპირები, გეტები, შილოერები, ბაირონები, გომერები, ფირდუსები, გიუგოები. ქრისტენი და პეტრე—პავლენი სჭირდებოდნენ?! სადაა, კაცო, გონიერება შენი?! სადაა, ადამის შვილო, ადამიანობა შენი?! მზის ტალახში გასერაც ბევრჯერ მოგიწადინებია შენ, უგუნუოო, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი ძლიერ მაღალია და შენ ძლიერ დაბალი და გადაგირჩია

*) (იხ. შინ. საქ. № 23)

გაუსერელი!.. მაშ ნურც ის დაგავიწყდება, რომ ღმერთი მზეზე კიდევ მაღალია და შენი კენჭების სროლაზე ზეცა სიცილს და სიბრალოელის ცრემლებს გაყრის ზევიდან! დიახ, საბრალო ხარ, საბრალო, ადამიანო, როცა სიგიფე გეწვევს და გონების სიბნელე!.. მეფედ დასახული თვითონ მონად ხდები ზეცისკენ, უკვდავებისკენ მიპატივებული ფუნაში რგავ თავს! სწორედ შენზეა ნათქვამი: „თავს საბან-ბუმბულში ახვევდნენ და მაინც თავის თავგ-ისარაში მირბოდაო“. მაგრამ იმუგეშე თავი მით, რომ მხოლოდ დრო გამოშვე ბით გეწვევა ხოლმე ავეთი სიბნელე სულისა, თორემ რომ მუდამ გჭირდეს იგი, შენისანა უბედური არც ერთი პირუტყვი, არც ღორი, არც მეფუნია არ იქნებოდა მაშინ!..

განვაგრძოთ სურათი. კიდევ ორიოდ სიტყვა პორნოგრაფიაზე. დღეს ისე გავნათლდით, რომ თვითველმა ბაღღმა იცის, თუ რა არის „Художественная открытка“, ე. ი. სურათებიანი ღია წერილები. მოწყობილი და ნებადართულია მთელი მსოფლიო ფირმა: „Всемирный почтовый союз: Россия“ (Carte Postale) რომლის მიზანია ბეკდოს და ჰვინოს მთელს დედამიწაზე ასეთი წერილები. მერე რა არ ჰხატია ზედ?!.. კაცი და ქალი ყოველს მოძრაობაში, ყოველს მდგომარეობაში, თვითველი ასო მათი, კავშირი ათასფეროვანი და ხელოვანი? უცქერ, გერევა გული, და ეკითხები შენს თავს: ვინ მისცათ ამის ნება, რომ შეუბრალებლად შეგ ხონ ადამიანის ღირსება?! რისთვისღა აქვს სახლს კარები, თუ ადამიანი შიგ თავს ვერ დაიფარავს? ან აბანოს რისთვის უკეთებენ კედლებს, თუ ადამიანის სხეულის დანახვა უმანკოებადაა ჩათვლილი?! რაღასთვის ტყავდება კაცი ტანფეხზე, თუ კი ამით მძორს არ დაფარავს?! სადაა ქალის „კრძალვა“, „რიდი“, „მორცხობა“, „ზრდილობა“, თუ რომ იგი ყველაფერს გარეთ გამოფენს?!

ეს ხელობა დღეს გადაქცეულია ყველგან ვაქრობის ერთ უმთავრეს საგნად. სად არ შეხვდებით მთელს კოლექციებს და გამოფენებს ასეთი სურათების! ყოველს მაღაზიაში, „ბუდკაში“, სახლში, პოეტის კანტორაში ბლომადაა გამოფენილი! ოჯახის გასახრწნელად სცემენ მშვე-

ნივრად დასურათებულს ალბომებს, და ავსებენ მათ გამრყენელ და მაცდურ სურათებით. ოჯახში შეხვდებით ეხლა ასეთს ალბომებს. შეადგამ თუ არა სტუმარი ფებს კარებში, მოგაწვდიან ხელში ამ ალბომს თავის შესაქცევად, შენც შლი მას და თავზე აწყდები ისეთს სცენებს, რომ თვალზედ ხელს იფარებ და კვილით ამბობ: „ღმერთო ჩემო, რას ეხედავ“?! ახლა საბრალო ბავშვები ოჯახისა! ათასჯერ გადაატრიალ-გადმოატრიალებენ ალბომს დღეში და იქვინთებიან შემადრწუნებელ გარყვნილების შხამით! ზოგიერთი უვიცი დედები ასე უჯავრდებიან თავიანთ შვილებს—შაგირდებს: „სად იყავით? რათ დაიგვიანეთ სადილი რათ გვაცდევინეთ?! ამდენი უნდა ვიცადოთ?! რამდენი გაკვეთილი გქონდათ დღეს?“

— ორი, დედა!

— მერე ეხლა ხომ ოთხი საათია?! სად ეგდეთ, სად?!

სად ეგდენ და დუქანში, გამოფენაში, სურათებს ათვლიერებდნენ, გაშტერდნენ ერთგან, ორგან, ათგან, ოცგან და მერე დროც ადარ იყო! მეორე დღესაც იმავე გზით წავიდნენ სკოლაში და ასე გაიტაცა „ოტკრიტებმა“, რომ პირველი გაკვეთილი გამოეპარათ!

დღეს ჩვენი ბოვშები უბრალო ქალაღზე ხომ აღარ კადრულობენ წერილების წერას?! კონვერტი და ქალაღი კაპიკად იყიდება, ღია წერილიც სამ კაპიკად, მაგრამ ბავშვები მაინც დუქანებში გარბიან, 7—12 კაპ. აძლევენ სურათიან ღია წერილში, მასთან არჩევენ უფრო მაცდურს და უზნეო სურათებს და უგზავნიან ამხანაგებს. მათგანაც, რასაკვირველია, ასეთსავე წერილებს იღებენ. ხშირად დედა საუზმის, ან რვეულების ფულს ატანს, ბოვში-კი შიმშილს არ უშინდება და ფულს სურათში ხარჯავს! ასეთია ღვაწლი ეხლანდელი ბექდვითი სიტყვისა და ხელოვნებისა!..

მაგრამ ვინღა გრძნობს იმ უბედურებას, რომელიც აქედამ წარმოსდგება?! საზოგადოება ამ წუთებს ისე შეეჩვია, რომ თავი ირაკლის ახანოში ჰგონია! ახლანდელი ოჯახი ოჯახია?! ახლანდელი ბოვშები—ბოვშები არიან?! ახლანდელი ახალ-თაობა ახალთაობაა?! „იყავით

უმანკო ვითარცა ბავშვიო“, მიცხოვარს დღევანდელს ბოვშებზე კი არ უთქვამს! ეხლა სადღაა ბავში, შაგირდი?! სადაა დღეს მოაწმუნე, გულუბრყვილო, პირდაპირი, გაუტყებელი გლეხი?! გაჰქრენ ესენი, უხილავ იქმნენ თითქოს ჯადოსნური კვერთხის მოქნივით. ამათი ადგილი დაიჭირა ურწმუნოებამ, ცინიზმმა, შანტაჟმა, ძალთაპირობამ, გინებამ და კუქისთაყვანისცემლობამ! და ხომ აღარც სიცოცხლის სიხარულია?! ყველგან მოწყენა, ნაღველი, დაღრეჯილობა, ოხერა, კენესა, ქუში, ზიზღი, იჭვი, უნდობლობა, წყევა, და იქვე გვერდით სატანიური, სარკასტიული, ცივი, ბოროტი ხითხითი მტრისა!..

ეს ასეა, მაგრამ აღთქმული სამოთხე სადღაა?! მწიფე ვაშლები რომ არ გვივარდებიან პირში თავისთავად?! სამოთხის ჩიტები?! ცხოვრების წყარო?! უკვდავების ხე?!

გვიპრდებოდნენ სამოთხეს და ჯოჯოხეთში გვატუციეს თავი! სინათლეს გვიპრდებოდნენ და ჩავვარდით „ბნელსა გარესქელსა, სადაც არს ღრქენა კბილთა!“ ოქროს მთებს ამზადებდნენ ჩვენთვის და გამოგვიგზავნეს შიმშილი და სიღატაკე, ქრონიკული გაუმაძღრობა! ყველას გაუბრუნდა თავი! ყველა სტირის, ყველა თითებს იმტვრევს: სტირის მშობელი, დამკარგველი შვილებისა, რომელიც გარდაიქცენ პროფესიონალურ ქურდებათ და შაიკების ბელადებად; რომელიც მოდიან სკოლაში არა წიგნებით, არამედ ბომბებით და პეტარდებით! სტირის სკოლა დაცალიერებული, სტირის ეკლესია გაცივებული, სტირის პროლეტარიატიც რადგან გუშინ 2 კაპიკს აძლევდა პურში და დღეს 6—კაპიკს აძლევს!..

ასე აგვირია ყველას ღმერთმა ენა ჩვენი ცოდვებისათვის, ბაბილონის გოდოლისათვის, რომელიც თავზე დაგვემგრა! ქეშმარიტად ღმერთი მამათა უარ გვიყვია და კერპი გავვიღმერთებია! მაგრამ ბაღის სამსხვერპლოც რომ დაგვემსხერა?! წინაც რომ ბაბილონის ტყვეობა გვაქვს და „მდინარესა ზედა ბაბილონისასა“ სხდომა და ტირილი!? არ გეჰმისთ, შენანებულ ცოდვილთა მოთქმა? დაუგდეთ ყური! „უკეთუ დაგივიწყო შენ იერუსალემ, დაივიწყენ მარჯ-

ვენეცია ჩემი. აქვენი ენა ჩემი სასახე ჩემსა, არა
 თუ შოგიხსენო შენ და არა თუ პირველ გან-
 გდებულვეყო იერუსალემი, ვითარცა იგი დასა-
 ბამსა მას სიხარულისა ჩემისასა, მოიხსენე, უფა-
 ლო, ძენი ედომისნი და დღე იგი იერუსალე-
 მისა, რომელნი იტყოდეს: დაარღვიეთ, დაარ-
 ღვიეთ მისაფუძველადმდე მისა. ასულო ბაბი-
 ლონისაო, უბადრუკო, ნეტარ არს, რომელმან
 მიგავოს შენ მისაგებელი შენი, რომელ შენ
 მომაგე ჩვენ!“ (ფს. 136).

ტონკელო

(შემდეგი იქნება.)



რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
 გამომცემელი იოსებ ლეჟავა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამოვიდბ და ისეიდებ ავტორთან „მი-
 ნაური საქმეები“ რედაქციაში
 ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი
 მოკლე საეკლესიო ისტორია დეკ 3.
 სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტო-
 რიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი
60 კ. ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10
 პროც. დაეთმობა.
 იქვე ისეიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბე-
 ბელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული
 შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრი-
 სტიანობა და სოციალიზმი“ ფასი **ორი**
შაური.



იყიდება დეკანოზის ნესტორ ყუბანეიშვილის
 მიერ შედგენილ გამოცემული წიგნები:

1, პირველ დაწყებითი დორიგება საღვთო
 სჯულის სწავლებაზე. ეს წიგნი შესდგება ოთხი
 განყოფილებებისაგან: ა) ლოცვები, ბ) ძველი და ახალი
 აღთქმის საღვთო ისტორია, გ) მოკლე კატეხისმი-
 და დ) სწავლა ღვთაის მსახურებაზე. ეს წიგნი მი-
 ლებულია ყველგან სამრევლო სკოლებში და სკოლა
 დაბალ სასწავლებლებში. ფასი 20 კაპ.

2, კაითფას ვაფიშვილი, ისტორიული მთ-
 თხრობა ქრისტეს დროიდან; მასში განმარტულია
 იმ დროის უბრალოა ზნე ჩვეულებბ, შეიყვას 30
 თავს, 247 გვ. ფასი 50 კაპ.

3, მესამე ოქრო, მტარე მთხრობა კაცის
 სისარბე-გაუშამდრობაზე. ფასი 5 კ.

4, გზა ცხოვრებისა. მაგალითი მთყუანდნა
 სხვა და სხვა მალაღ ზნეობის კაცთა ცხოვრებდ-
 გან. წიგნში არის წწ 69 და ღირს 30 კ.

5, მამა დავით გარესჯელის ცხოვრება
 ფასი 10 კ.

6, ცოლ-ქმრობა ფასი 5 კ.

7) ქრისტიანობა და დემოკრატია—ქრი-
 სტიანობა და სოციალიზმი. ნათარკმნი პრაფეს-
 სორ ანატოლ ლერუა ბოლიეს წიგნიდან. ფასი
 15 კაპ.

ეს წიგნები აუადება თბილისში და ქუთაისში
 წიგნების მაღაზიებში. გარეშე ადგილიდან წიგნე-
 ბის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

Кутаисъ. Протоіерей Н. Кубаней-
 ШВИЛИ. წიგნის მაღაზიებს და სოფლის მსწავ-
 ლებებს, ეინც მათგანი ნადა ფულზე გამოაწერს
 არა ნაკლებ 10 მანეთის წიგნს, დაეთმობა 20 პრო-
 ცენტო. გავსაზნა შეადეკლას ხარვით.

